

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

საქართველოს 2003 წლის ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების პრიორიტეტების გათვალისწინებით საქართველოს 2003 წლის ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს საფუძვლად დაედოს წლიური ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი 5 %-ის ფარგლებში.

2. ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფის მიზნით 2003 წელს გაგრძელდეს ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკა, რომელიც ეფუძნება ფულის არაინფლაციურ მიწოდებას ეკონომიკური ზრდისა და ფულის მოთხოვნის გათვალისწინებით. ფართო ფულის ზრდა ძირითადად განხორციელდეს საბანკო შუამავლობის ხარისხის გაუმჯობესებისა და ფულის მულტიპლიკატორის ზრდის საშუალებით. შენარჩუნდეს ეკონომიკის თანდათანობითი რემონეტიზაციის გენდენცია იმ ანგარიშით, რომ ფართო ფულის ფარდობა მთლიან შიდა პროდუქტთან წლის განმავლობაში 0.5 პროცენტული პუნქტით მაინც გაიზარდოს, ხოლო სამომხმარებლო ფასების ინდექსის მაგებამ არ გადააჭარბოს მის მიზნობრივ მაჩვენებელს. სარეზერვო ფული 8-10%-ით გაიზარდოს უპირატესად ეროვნული ბანკის საერთაშორისო აქტივების აკუმულირების გზით, რაც წარმოადგენს ფულის მიწოდების არაინფლაციურ წყაროს.

3. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაკრედიტება განხორციელდეს საერთაშორისო სავალუტო ფონდთან შეთანხმებული საფინანსო პროგრამის შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს ეროვნული ბანკისადმი მთავრობის წმინდა დავალიანების ზრდა არ აღემატებოდეს 40 მლნ ლარს, ხოლო კომერციული ბანკების დაკრედიტება – ძირითადად ერთდღიანი საანგარიშსწორებო კრედიტების, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებით უზრუნველყოფილი მექანიზმების (ლომბარდული და რეპოპერაციები) და საკრედიტო აუქციონის გამოყენებით იმგვარად, რომ წლის ბოლოსათვის ბანკების დავალიანებამ ეროვნული ბანკის მიმართ 10 მლნ ლარს არ გადააჭარბოს.

4. 2003 წელს სავალუტო პოლიტიკის პრიორიტეტებად განისაზღვროს დოლარიზაციის მასშტაბების შემცირება და ქვეყნის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ხელშეწყობა. ეროვნული ვალუტის მიმართ მოსახლეობისა და ეკონომიკური სუბიექტების ნდობის გაზრდის მიზნით მნიშვნელოვან ამოცანად დაისახოს მცურავი გაცვლითი კურსის რეჟიმის ფარგლებში ლარის კურსის რყევის ვიწრო დიაპაზონის შენარჩუნება და ქვეყნის საერთაშორისო რეზერვების დაგროვება. საქართველოს ეროვნული ბანკის ინტერვენციები განხორციელდეს მხოლოდ უცხოური ვალუტის მიმართ მისი მიწოდების მოთხოვნაზე მეტობის შემთხვევაში, ლარის რეალური გაცვლითი კურსის დინამიკის გათვალისწინებით. ამასთან, საკურსო პოლიტიკა მკვეთრად არ უნდა მღუდავდეს იმპორტს, რადგან ამან შეიძლება გამოიწვიოს ფასების საგრძნობი მაგება და კაპიტალის ფორმირების პროცესის შეფერხება. 2003 წლის ბოლოსათვის საქართველოს ეროვნული ბანკის

საერთაშორისო რეზერვების მოცულობამ შეადგინოს არანაკლებ 2 თვის იმპორტის ეკვივალენტისა.

5. საბანკო სისტემის ლიკვიდურობის ოპტიმალურად მართვისა და ეროვნული ვალუტის, როგორც გადახდისა და ინვესტირების საშუალების, მოქმედების არეალის შემდგომი გაფართოებისათვის ეროვნულმა ბანკმა უზრუნველყოს ლარში დენომინირებული ახალი ფინანსური ინსტრუმენტების ათვისება და უკვე არსებულის ეფექტიანად გამოყენება. ამოქმედდეს კომერციული ბანკებისაგან ვალიანი, მათ შორის, ერთდლიანი, დეპოზიტების მიღების წესი და იგი გამოყენებულ იქნეს საბანკო სისტემაში ჭარბი ლიკვიდურობის სტერილიზაციისათვის. დაიხვეწოს ეროვნულ ბანკთან არსებული ბანკთაშორისი საკრედიტო აუქციონის ფუნქციონირების მექანიზმი. დამკვიდრდეს ერთი კვირის ვადის მქონე საკრედიტო რესურსების აუქციონის ყოველდღიურად ჩატარება. ამავედროულად, შემოღებულ იქნეს ერთდლიანი საანგარიშსწორებო კრედიტების გაცემის პრაქტიკა საპროცენტო განაკვეთების გამოცხადებით. რეპოთეკაციების გააქტიურებისათვის საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გააგრძელოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროსგან სახაზინო ვალდებულებების პირდაპირი შესყიდვა იმის გათვალისწინებით, რომ წლის ბოლოსათვის ეროვნული ბანკის მიერ შესყიდული სახაზინო ვალდებულებების მოცულობა არ აღემატებოდეს 5,0 მლნ ლარს. სახელმწიფო ობლიგაციების მეორადი ბაზრის ჩამოყალიბების მიზნით განხორციელდეს ეროვნული ბანკის მიმართ 1998 წელს წარმოშობილი მთავრობის სასესხო დავალიანების გრძელვადიან სავალო ვალდებულებებში გადაფორმება, რის საფუძველზედაც შეიქმნას სახელმწიფო ობლიგაციების პორტფელი. ეროვნულმა ბანკმა სახელმწიფო ობლიგაციების პორტფელი გამოიყენოს ღია ბაზარზე ოპერაციების განსახორციელებლად.

6. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა საბანკო სისტემის მდგრადობის უზრუნველყოფისა და ბანკებს გარეთ არსებული ფულის მასის საბანკო არხებში მოქცევის მიზნით განახორციელოს შემდეგი ქმედითი ღონისძიებები:

ა) შეიმუშაოს დეპოზიტების დამზღვევის სისტემის მოწყობისა და ფუნქციონირების ძირითადი პრინციპები;

ბ) გააუმჯობესოს სისტემური რისკების მართვა, აამოქმედოს ბანკების მიერ გაცემული კრედიტების კონცენცრაციისა და მსხვილი რისკების რეგულირების წესი;

გ) სრულყოს კომერციული ბანკების მიმართ მინიმალური სამედამხედველო კაპიტალის მოთხოვნის შესრულებისა და მათ მიერ ღია სავალუტო პოზიციის ლიმიტების დაცვის კონტროლის მექანიზმი;

დ) განსაზღვროს ბანკების მმართველობითი ორგანოების უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა, შეიმუშაოს დებულება საბანკო დაწესებულებებში კორპორაციული მართვის ორგანიზების შესახებ;

ე) საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე საბანკო სისტემაში დანერგოს საბანკო მედამხედველობის ბაზელის კომიტეტის მიერ შემუშავებული ფულის „გათეთრების“ წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმები;

ვ) დაასრულოს ელექტრონული საბანკო ანგარიშსწორების გადაყვანა დროის რეალურ რეჟიმში;

ზ) დაიწყოს ბანკებს შორის კლირინგული ანგარიშსწორების დანერგვა და ხელი შეუწყოს პლასტიკური ბარათების ფართოდ გავრცელებას.

7. საქართველოს ეროვნული ბანკის კაპიტალიზაციის გაზრდის მიზნით „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის

შესაბამისად 2002 წლის წმინდა მოგების 10% მიიმართოს ეროვნული ბანკის
განადღებული საწესდებო კაპიტალის გასაზრდელად.

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარე

ნინო ბურჯანაძე

თბილისი,
2002 წლის 25 დეკემბერი.
N 1869 - რს